განმარტებითი წერილი

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილებას.

თქვენს მიერ 2025 წლის 29 აპრილის AR11087481 განაცხადის საფუძველზე მოწერილ შუალედური გადაწყვეტილების საფუძველზე გწერთ შესაბამის ახსნა-განამრტებით წერილს. მრავალფუნქციური საცხოვრებელი შენობის არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობასთან **„ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე " საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან.**

2.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.:
წარმოადგინეთ საპროექტო ბლოკის შესაბამისი საექსპერტო შეფასება და მიუთითეთ ბლოკის ნომერიც ექსპერტიზაში შეაბამისად.

-გავითვალისწინეთ

ასევე ექსპერტიზაში დეტალურად განიმარტოს 1602 ქვეთავთან შესაბამისობის თაობაზე..
-გავითვალისწინეთ

პროექტით გათვალისწინებული თითოეული დაკავებულობისთვის (სწ-2,სვ.სქ და სც-2) განსაზღვრულია წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა და მინიმალური მოთხოვნები 1602.2 ქვეთავისა და 1602.1 ცხრილის მიხედვით. კერძოდ: სვ ჯგუფის დაკავებულობას ემსახურება თითოეული სქესისათვის ცალ-ცალკე მოწყობილობები, სქ ჯგუფის დაკავებულობისთვის თითოეულ საოფისე ფართში განთავსებულია ერთი წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობა რადგან თითოეული საოფისე დაკავაბეულობის დატვირთვა არ აღემატება 15 დამკავებელს სწ- 2ჯგუფის დაკავებულობისთვის წესების 1602.3 ქვეთავის მიხედვიტ ტუალეტის მოწყობილობები საჭირო არ არის ავტოსადგომ გარაჟებში, რომელთაც ავტოსადგომის მეთვალყურეები არ ემსახურებიან.
სც-2 ქვეჯგუფის დაკავებულობებში, წყალსადენის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა განსაზღვრულია თითოეული საცხოვრებელი ერთეულიდან(საცხოვრებელი ფართიდან) გამომდინარე და აკმაყოფილებს მინიმალურ რაოდენობებს.წყალსადენი სისტემების და ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებელი მისაწვდომი საერთო რაოდენობა სწორად არის დადგენილი1109.2 ქვეთავის მ ი ხედვით.

საექსპერტო დასკვნის ავტორი:

ვილიანა გულიაშვილი

01.05.2025